3.21 კონსოლიდირებული ტენდერიდან ელექტრონულ ვაჭრობაში გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის წინადადების ფასს, ასევე სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს კონსოლიდირებული ტენდერი.

3.22 სატენდერო წინადადებების წარდგენა იწყება 2018 წლის 5 იანვარს და მთავრდება 2018 წლის 8 იანვარს. სატენდერო კომისია სატენდერო წინადადებებს განიხილავს გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სისტემის მეშვეობით.

3.23 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია მისი გამარჯვებულად გამოვლენიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. საბურავების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, 2018 წლის 1-ლი აპრილიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, თუ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბურავების მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 10 კალენდარული დღით.

3.24 კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი საბურავების ჯამური საორიენტაციო ღირებულების 10%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს საბურავების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თუნდაც ერთ შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

3.25 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის 3.24 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაბარზომიერების პრინციპები. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

3.26 სატენდერო კომისია ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ საბურავის ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საბურავის ერთეულის ფასის ცვლილება. მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს ჯარიმა შესასყიდი საბურავების ჯამური საორიენტაციო ღირებულების 0,5%-დან 30%-მდე ოდენობით.

მუხლი 4. შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები

4.1 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების შესაბამისად და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4.2 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბურავების რაოდენობა არ უნდა იყოს საორიენტაციო ხასიათის. ფაქტობრივად შესყიდული საქონლის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობას, თუ მხარეებს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბურავების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, 2018 წლის 1-ლი აპრილიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, თუ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 10 კალენდარული დღით.

4.4 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია:

ა) მისი გამარჯვებულად გამოვლენისთანავე, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დაიწყოს მასთან შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმება და დაასრულოს აღნიშნული პროცესი 5 სამუშაო დღის ვადაში.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მიუხედავად მოთხოვნის წარდგენის თარიღისა, მიმწოდებელს აქვს უფლება არ განახორციელოს საბურავების მიწოდება 2018 წლის 1-ლ აპრილამდე, ხოლო 2018 წლის 1-ლი აპრილის შემდგომ ყოველი მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

გ) უზრუნველყოს შეუფერხებელი მონტაჟის პროცესი.

დ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,5% ოდენობით. საქონლის მიწოდების ვადის 5-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

ე) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ ახერხებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ვალდებულია გულისყურით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, გააცნოს მიწოდების შეფერხების მიზეზები და აცნობოს მას შექმნილი პრობლემის აღმოფხვრის საბოლოო ვადის შესახებ.

ვ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

ზ) მჭიდროდ ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციებთან საბურავების მიწოდების სავარაუდო ვადების დადგენისა და შესაბამისი განრიგის შემუშავების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბურავების დროული და შეუფერხებელი მიწოდება.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მომსახურების მიღების მიზნით წარადგინოს ავტომანქანა პრეტენდენტის მიერ მითითებულ მისამართზე, თუ ურთიერთშეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბ) მჭიდროდ ითანამშრომლოს გამარჯვებულ მიმწოდებელთან საბურავების მიწოდების სავარაუდო ვადების დადგენისა და შესაბამისი განრიგის შემუშავების მიზნით.

4.6 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

4.7 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავის ღირებულების 20%-ის ოდენობით.

4.8 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის 4.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტისა და ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

4.9 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბურავის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით საბურავების სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობის მონიტორინგი

5.1 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, ხელშეკრულება განათავსოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ბ) საბურავების სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმილ ოდენობასა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობას შორის 20%-ზე მეტი სხვაობის შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობასა და ფაქტობრივად შესყიდულ

(ათვისებულ) ოდენობას შორის 10%-ზე მეტი სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო კომისიას წარუდგინოს წერილობითი განმარტება აღნიშნული სხვაობის გამომწვევი მიზეზების თაობაზე.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის 10 რიცხვამდე სატენდერო კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია კონსოლიდირებული ტენდრის ფარგლებში რეალიზებული საბურავების შესახებ კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ელექტრონული ფოსტის tire2018@spa.gov.ge ან/და კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემის ctd.spa.ge მეშვეობით. აღნიშნული ელექტრონული ფოსტისა და კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემის საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.

დანართი №1

სეზონი	საბურავის ბრენდი	საბურავის მოდელი	ბრენდის წარმოშობის ქვეყანა	საბურავის ზომა	ერთეულის ფასი ლარებში (არაუმეტეს)	რაოდენობა	ჯამური ღირებულება	ავტომანქანების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა განხორციელდეს მისაწოდებელი საბურავების მონტაჟი
ზაფხული				R13 155/70	80	52	147,180..00 ლარი	KIA Picanto Daewoo Matiz და სხვა.
ზაფხული				R13 175/70	60	174		KIA Picanto ВАЗ (LADA) 2107 და სხვა.
ზაფხული				R14 165/60	65	12		Hyundai i10 KIA Rio Honda Civic და სხვა.
ზაფხული				R14 165/70	70	52		Hyundai i10 KIA Rio Honda Civic და სხვა.
ზაფხული				R14 175/65	70	562		Hyundai i10 Hyundai Getz KIA Picanto და სხვა.
ზაფხული				R14 175/70	70	486		KIA Picanto Hyundai Accent Hyundai i20 KIA Rio და სხვა.
ზაფხული				R14 185/65	75	614		Skoda Fabia Hyundai Getz Nissan Sunny და სხვა.
ზაფხული				R14 185/70	75	98		Opel Vectra Skoda Fabia Opel Astra და სხვა.
ზაფხული				R14 195/65	125	8		Opel Vectra Mitsubishi Dion და სხვა.
ზაფხული				R14 205/70	100	4		ГАЗ 24 Волга და სხვა.

დანართი № 2

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შემოთავაზებული საბურავები წარმოებული უნდა იყოს არაუადრეს 2017 წლისა.
2. შემოთავაზებული საბურავი უნდა იყოს მსოფლიოში აღიარებული ბრენდის, რომელიც მსოფლიო ბაზარზე არანაკლებ 3 წელი იყიდება.

3. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საბურავები უნდა შეესაბამებოდეს დანართი №1-ში წარმოდგენილი ავტომობილების ტექნიკურ მოთხოვნებს სიჩქარის ინდექსისა და ტვირთდაწოლის კილოგრამების გათვალისწინებით.

4. შემოთავაზებული საბურავის მწარმოებელს უნდა გააჩნდეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) „ISO-16949“ და „ISO-9001“ სერტიფიკატები.

5. შემოთავაზებული საბურავის ხარისხი უნდა დასტურდებიოდეს ევროპის ეკონომიკური კომისიის (the Economic Commission of Europe „ECE“) მიერ გაცემული სერტიფიკატის ფლობით. აღნიშნული დადასტურებული უნდა იყოს ინგლისურენოვანი და ქართულ ენაზე ოფიციალურად ნათარგმნი შესაბამისი დოკუმენტის წარდგენით სატენდერო წინადადებათან ერთად.

6. კონსოლიდირებული ტენდერის შერჩევა/შეფასების ეტაპზე, სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში და სატენდერო კომისიის მიერ მითითებულ ვადაში, პრეტენდენტმა სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- მისაწოდებელი საბურავის ნიმუში;
- მისაწოდებელი საბურავის პროტექტორის ნახატი, რაც უნდა ქმნიდეს შემოთავაზებული საბურავის ზუსტი იდენტიფიცირების შესაძლებლობას;

- წარმოდგენილი საბურავის სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი მწარმოებლის მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენციის ორიგინალი;
- ელექტრონული მისამართები, მწარმოებლის ოფიციალური ვებ-გვერდის „ლინკები" ან ატვირთოს კატალოგის შესაბამისი გვერდები, რომლის მიხედვითაც შემსყიდველს ექნება საშუალება მოიძიოს ინფორმაცია შემოთავაზებული საქონლის სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის (მათ შორის ინფორმაცია საბურავების სეზონურობის შესახებ) დადგენის მიზნით.

7. მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და საგარანტიო ვადის ამოწურვამდე არ უნდა განიცადოს დეფორმაცია და უნდა ექვემდებარებოდეს ბალანსირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით.

8. შემოთავაზებულ საბურავებზე მითითებული უნდა იყოს სეზონის შესაბამისი მარკირება.

9. საბურავების საექსპლუატაციო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 კმ გარბენის რესურსს.

10. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

11. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მის ეჭვს მიწოდებული საბურავის ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის თობაზე, კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

12. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საბურავზე საგარანტიო პირობები ვრცელდება: საბურავის სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50 000 კმ. გარბენზე. საბურავმა არ უნდა მიიღოს დეფორმაცია, ნორმების დაცვით ექსპლუატაციისას საბურავის სამუხრუჭე მანძილი არ უნდა იწვევდეს საფრთხის შექმნას მგზავრებისათვის და საბურავმა არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტები, რომელიც ხელს შეუშლის ტრანსპორტის ნორმალურ

ექსპლუატაციას ან საფრთხეს შეუქმნის მგზავრების უსაფრთხოებას.

13. მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, წუნის ან სხვა დეფექტის მქონე საბურავის შეცვლა ახალი იდენტური პარამეტრების მქონე საბურავით საკუთარი სახსრებით.
14. გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:

    ა) მექანიკური დაზიანება;

    ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/"დაბუქსავება");

    გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;

    დ) ბორდიურზე მიჯახება;

    ე) ჩარტყმა.